CRRC-საქართველო

ფაქტები და Facebook-ის სიახლეების ველი (Feeds):

ევროკავშირის შესახებ
ქართველების ზოგადი ცოდნის შემოწმება

ბლოგი

2025

ბლოგი

ფაქტები და Facebook-ის სიახლეების ველი (Feeds):

ევროკავშირის შესახებ ქართველების ზოგადი ცოდნის შემოწმება

2025

ავტორი: ზაქარი ფაბოსი, მკვლევარი

CRRC-საქართველო

1 ლიზიკო ქავთარაძის ქ. თბილისი, 0179, საქართველო

https://www.crrc.ge

crrc.georgia@crrccenters.org

ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC-საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.

ფაქტები და Facebook-ის სიახლეების ველი (Feeds): ევროკავშირის შესახებ ქართველების ზოგადი ცოდნის შემოწმება

საქართველოში საზოგადოებრივი აზრი თანმიმდევრულად აჩვენებს ძლიერ მხარდაჭერას ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ: მოსახლეობის დაახლოებით 70% მხარს უჭერს ქვეყნის შესვლას ევროკავშირში[1]. ქართული საზოგადოების კეთილგანწყობა ევროპის მიმართ ახალი არ არის. იგი წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა გაწეული ფინანსური დახმარებით, საინფორმაციო კამპანიებითა[2] და 2017[3] წლიდან მოქმედი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედებით, რომლის შემდეგაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები დროებითი მუშაობისა და მოგზაურობის პოპულარულ მიმართულებებად იქცა.[4] ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ გაწევრიანების ზოგადი მხარდაჭერის მიღმა, ნაკლებად ნათელია, რა ცოდნას ფლობენ ქართველები ევროკავშირის კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებთან თუ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით. ამ საკითხის შესასწავლად, „CRRC–საქართველომ“ შეიმუშავა და Facebook-ზე გააზიარა ორი ონლაინ ქვიზი. სწორედ Facebook წარმოადგენს ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ძირითად საშუალებას საქართველოში.[5]

სურათი 1: თბილისის მერი კახა კალაძე განმარტავს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ემსახურება ქართველ ხალხს და არა – ევროკავშირი

[1] The Caucasus Research Resource Centers. “Caucasus Barometer 2024 Georgia.”

[2] EU In Georgia. “All-Campaigns”.

[3] European Union External Action. “Visa Free Travel comes into effect for Georgia.”

[4] Georgian Today. “Georgians Increasingly Turning to High-Income, Western Countries for Work.”

[5] Atchaidze and Fabos. “Georgia Media Consumption Survey.” 15.

ეს კონტექსტი მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“, ფრთხილ პოზიციონირებას ხსნის, რომელიც ევროკავშირის მიმართ სულ უფრო მზარდ მტრულ რიტორიკას ინტეგრაციისადმი ერთგულების მუდმივ დეკლარირებას უთავსებს. ეს დინამიკა თვალსაჩინო 2025 წლის მაისში გახდა, როდესაც ევროკავშირის ელჩის მხრიდან ხელისუფლების ანტიდემოკრატიული კურსის კრიტიკის საპასუხოდ, თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ ემსახურება ქართველი ხალხის და არა ევროკავშირის ან მისი წარმომადგენლების ინტერესებს. ამავდროულად, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა საქართველოს ევროკავშირში საბოლოო გაწევრიანების მიმართ და ეს დადებით მოვლენად შეაფასა, მიუხედავად მთავრობის ცალმხრივი გადაწყვეტილებისა, 2028 წლამდე გაყინოს გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები.[6] მისმა განცხადებებმა, რომლებიც 2025 წლის 14 ივნისს პროსამთავრობო Facebook გვერდმა – „არ აგარევინებთ“ – გააზიარა, 555 000 ნახვა, 20 000-ზე მეტი რეაქცია და თითქმის 2 000 კომენტარი დააგროვა[7]. გვერდმა კახა კალაძის განცხადებას დამატებითი კომენტარი დაურთო: „ყველა ღირსეული ქართველის სათქმელი თქვა.“ (სურათი 1).

Facebook-ზე გაზიარებული კონტენტის დიაპაზონისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, „CRRC-საქართველომ“ ორგანიზაციის საჯარო ანგარიშის მეშვეობით პლატფორმაზე განათავსა და გაავრცელა ორი ექსპერიმენტული ქვიზი ქართულ ენაზე. ერთი ქვიზი მომხმარებლებს სთხოვდა, „შეემოწმებინათ ცოდნა ევროკავშირის დემოგრაფიის შესახებ“, ხოლო მეორე წარმოადგენდა ქვიზს „ევროკავშირის ეკონომიკისა და საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ“. თემები და კითხვები შეირჩა იმ ორი სფეროდან, რომლებიც ხშირად ხდება დეზინფორმაციისა და მცდარი ინფორმაციის ობიექტი. ორივე ქვიზი იწყებოდა ისეთი კითხვებით, რომლებიც არ ექვემდებარებოდა პოლიტიზებულ რიტორიკას, მაგალითად, კითხვები ეხებოდა ევროკავშირში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას ან იმას, თუ რომელი ქვეყანა/ქვეყნები არის/არიან საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი/პარტნიორები (ევროკავშირში). მათ მოჰყვებოდა კითხვები უფრო პოლარიზებულ თემებზე, მაგალითად ისეთზე, თუ რამდენ ქვეყანაშია ერთსქესიანთა ქორწინება ლეგალიზებული ევროკავშირში. თითოეული ქვიზი 7-10 კითხვისგან შედგებოდა და მონაწილეობის წასახალისებლად შექმნილი იყო თამაშის ფორმატში, რომელიც კითხვებზე სწორი და არასწორი პასუხების გაცემისას ანიმაციებსა და ე.წ. „გიფებს“ (gifs) აჩვენებდა.

პირველი ქვიზი, „შეამოწმეთ თქვენი ცოდნა ევროკავშირის დემოგრაფიის შესახებ“, 434-მა მომხმარებელმა შეავსო. იგი 7 კითხვისგან შედგებოდა და მომხმარებლებმა საშუალოდ 4 შეკითხვას უპასუხეს სწორად. საინტერესოა, რომ მიუხედავად ანტიდასავლურ გვერდებზე ჰომოფობიური კონტენტის პოპულარობისა (რაც ჩვენმა მედიამონიტორინგმა გამოავლინა), მე-6 კითხვაზე – „მართალია თუ მცდარი: ევროკავშირის შიგნით წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება“ – მომხმარებელთა ყველაზე მაღალმა ნაწილმა, თითქმის 82%-მა, სწორი პასუხი გასცა.

---

[6] Civil.ge. “GD Aborts EU Accession.”

[7] 2025 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით

მეორე მხრივ, კითხვა, რომელზეც მომხმარებლებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ სწორი პასუხის გაცემა, ეხებოდა ევროკავშირის ქვეყნებში განქორწინების საშუალო მაჩვენებელს. მხოლოდ 26%-მა უპასუხა სწორად „2 განქორწინება ყოველ 1000-ზე“, ხოლო ყველაზე მეტი პასუხი, 32%, მიიღო ვარიანტმა – „5 განქორწინება ყოველ 1000-ზე“. გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა (58%) ასევე სწორად აღნიშნა, რომ მთელს ევროკავშირში წევრი ქვეყნების მხოლოდ ნახევარშია დაშვებული ერთსქესიანთა ქორწინება. ერთი შეხედვით, ნაკლებად პოლიტიზებულ თემებზე, როგორებიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, უფრო მეტი არასწორი პასუხი დაფიქსირდა – 43%-მა ვერ შეძლო დაესახელებინა სწორი პასუხი „82 წელი“.

მიუხედავად იმისა, რომ ქვიზი არ არის საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკურად წარმომადგენლობითი და შედეგებზე შესაძლოა გავლენა ჰქონოდა თვითშერჩევის მიკერძოებულობას (რადგან ევროკავშირის მიმართ დადებითად განწყობილი პირები უფრო მეტად მიიღებდნენ მონაწილეობას), პირველი ქვიზის შედეგები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის.

სურათ 2: კადრს მიღმა მყოფი მამაკაცის ხმა გამოხატავს რწმენას, რომ ჰომოსექსუალობა ქართველებს დასავლეთმა მოახვია თავს]



მაგალითად, სურათი 2 ასახავს სოციალურ მედიაში ჰომოფობიური კონტენტის პოპულარობასა და მრავალფეროვნებას. პოსტში ისმის კადრსმიღმა ხმა, რომელიც გაჰყვირის ჰომოფობიურ შეურაცხყოფას და დასავლეთს საქართველოსთვის ჰომოსექსუალობის თავს მოხვევაში ადანაშაულებს. ვიდეომ, რომელიც პროსამთავრობო კონტენტის ხშირმა გამავრცელებელმა გვერდმა – „Gogaggg“ – გააზიარა, ჯამში 17 482 მოწონება, რეაქცია, კომენტარი და გაზიარება დააგროვა.[8] მიუხედავად ასეთი კონტენტის ფართო გავრცელებისა და მისი მცდელობისა, ჰომოსექსუალობა წარმოაჩინოს, როგორც ევროპული კონცეფცია, მომხმარებელთა უმრავლესობამ, რომელმაც ჩვენი ქვიზი შეავსო, შეძლო ერთსქესიანთა ქორწინების მიმართ ევროკავშირის პოლიტიკა სწორად განესაზღვრა.

[8] 2025 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით

მეორე ქვიზი – „ქვიზი ევროკავშირის ეკონომიკისა და საქართველო–ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ“ – 360–მა მომხმარებელმა შეავსო. ეს ქვიზი 10 კითხვისგან შედგებოდა და მომხმარებლებმა საშუალოდ 7–ს უპასუხეს სწორად. მე–8 კითხვამ – „თქვენი აზრით, რას ეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაში?“ – სწორი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დააგროვა, 364 მომხმარებლის 82%. მეორე მხრივ, მე–3 კითხვაზე – „თქვენი აზრით, რა იყო საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონელი ევროკავშირში 2024 წელს?“ – არასწორი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (52%) დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობასა და ევროკავშირს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა ფართოდ შუქდება, 364 მომხმარებლის 54%–მა სწორად დაასახელა ევროპა საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორად.

მეორე ქვიზი მხოლოდ გარკვეულწილად გვაჩვენებს ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების მიმართ დამოკიდებულებას, რადგან ის არ არის საქართველოს საზოგადოების სტატისტიკურად წარმომადგენლობითი გამოკითხვა. ქვიზის შედეგები მხოლოდ იმ 364 მომხმარებლის აზრს გამოხატავს, რომელმაც ის შეავსო. ანალოგიურად, შედეგებზე შესაძლოა გავლენა ჰქონოდა თვითშერჩევის მიკერძოებულობას. თუმცა, 364 მომხმარებლის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიტიკური დაძაბულობისა და „ქართული ოცნების“ მიერ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის გაყინვის მიუხედავად, მომხმარებლებმა შეინარჩუნეს ცოდნა ევროპის, როგორც საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორის როლის შესახებ.

სურათი 3: ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი ოფიციალურ განცხადებას აკეთებს ჩინეთსა და საქართველოს შორის პარტნიორობის მნიშვნელობაზე

როგორც სოციალური მედიის ჩვენმა მონიტორინგმა გამოავლინა, ანტიდასავლურ პოსტებთან ერთად, რომლებიც სოციალურ საკითხებზე კონცენტრირდება და სიძულვილის ენის შემცველ რიტორიკას ავრცელებს, იგივე გვერდები აზიარებენ კონტენტს, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთობების გაღრმავებას „ქართული ოცნების“ მეგობარ რეჟიმებთან, მაგალითად ისეთთან, როგორიცაა ჩინეთის მთავრობა. სურათი 3, რომელიც გვერდმა „Gogaggg“ გააზიარა, ასახავს ჩინეთის პრეზიდენტის, სი ძინპინის გამოსვლას, სადაც ის ჩინეთსა და საქართველოს შორის

პარტნიორობის მნიშვნელობაზე საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს ასეთ პარტნიორობას (მაგალითად, ჩინეთთან[9] და ირანთან[10]), საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ევროკავშირი კვლავ რჩება სასურველ პარტნიორად.[11]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქვიზები არ გვაჩვენებს საზოგადოებრივი აზრის ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობით სურათს, ისინი Facebook-ის იმ მომხმარებლების დამოკიდებულებისა და ინფორმირებულობის შესახებ იძლება ინფორმაციას, რომლებმაც ქვიზში მონაწილეობა გადაწყვიტეს. როგორც აღინიშნა, სავარაუდოდ, შედეგებზე გავლენა მოახდინა თვითშერჩევის მიკერძოებულობამ და შედეგების ინტერპრეტაციისას ეს შეზღუდვა გასათვალისწინებელია. ამავდროულად, ქვიზების მიგნებები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის: მონაწილეებს შორის ევროკავშირთან დაკავშირებული გარკვეული პოლიტიზებული საკითხების შესახებ ცოდნა შედარებით მაღალი აღმოჩნდა. ინტერნეტში არსებული მუდმივი ანტიდასავლური გზავნილებისა და მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, რესპონდენტთა უმრავლესობამ სწორად დაასახელა ევროკავშირი საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორად და გამოავლინა ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი ელემენტების ცოდნა. მთლიანობაში, ქვიზები მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად სოციალურ მედიაში დეზინფორმაციის ფართო გავრცელებისა და „ქართული ოცნების“ მხრიდან ევროპასთან დაძაბულობის გამწვავებისა, საზოგადოებაში ნარჩუნდება ევროკავშირის მიმართ კეთილგანწყობა და ინფორმირებულობა მისი ეკონომიკური როლის შესახებ.

---

[9] OC Media. “Kobakhidze meets with Belarussian, Chinese ambassadors as Georgian Dream escalates anti-EU rhetoric.”

[10] Civil.ge. “PM Kobakhidze Meets President Pezeskhian During Visit to Iran to Attend President’s Inauguration.”

[11] Interpressnews. “IRI survey: The majority of respondents consider the EU and USA to be the most important political and economic partners for Georgia — 6% name China.”

გამოყენებული წყაროები

Atchaidze, Makhare and Zachary Fabos. "Georgia Media Consumption Survey." CRRC-Georgia: Dec. 2024. https://crrc.ge/wp-content/uploads/2025/06/irex-2024_georgia-media- consumption-survey_eng.pdf

Civil.ge. "GD Aborts EU Accession." *Civil.ge:* Nov. 28, 2024. https://civil.ge/archives/638801

Civil.GE. "PM Kobakhidze Meets President Pezeskhian During Visit to Iran to Attend President's Inauguration." Civil.ge: Jul. 30, 2024. https://civil.ge/archives/618250

European Union External Action. "Visa Free Travel comes into effect for Georgia." *EUEA:* Mar. 29, 2017. https://www.eeas.europa.eu/node/23697_en

EU in Georgia. "All-campaigns." *European Union:* 2026. https://eu4georgia.eu/all-campaigns/

Georgia Today. "Georgians Increasingly Turning to High-Income, Western Countries for Work." *Georgia Today:* Nov. 11, 2024. https://georgiatoday.ge/georgians-increasingly-turning-to-high-income-western-countries-for-work/

Interpressnews. "IRI survey: The majority of respondents consider the EU and the USA to be the most important political and economic partners for Georgia – 6% name China." *IPI:* Nov. 16, 2023. https://www.interpressnews.ge/en/article/128232-iri-survey-the-majority-of-respondents-consider-the-eu-and-the-usa-to-be-the-most-important-political-and-economic-partners-for- georgia-6-name-china

OC Media: "Kobakhidze meets with Belarusian, Chinese ambassadors as Georgian Dream escalates anti- EU rhetoric." OC Media: Oct. 14, 2025. https://oc-media.org/kobakhidze-meets-with-belarusian- chinese-ambassadors-as-georgian-dream-escalates-anti-eu-rhetoric/

The Caucasus Research Resource Centers. "Caucasus Barometer 2024 Georgia." *CRRC-Georgia:* 2024. https://caucasusbarometer.org/en/cb2024ge/EUSUPP/